

ავთანდილ არაბული

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

თბილისი, საქართველო

Arab.av@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.05>

სარგის კაკაბაძის წვლილი „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული რეალიების კვლევაში

საკვანძო სიტყვები: შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, სარგის კაკაბაძე

სარგის კაკაბაძეს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს იმ ისტორიკოსთა შორის, რომელთაც მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწიეს „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის ეპოქის ზუსტი „ლოკალიზაციისა“ და პოემის ავტორის ვინაობის დადგენის მიზნით.

ს. კაკაბაძემ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა რუსთაველის ეპოქის მწიგნობრული მემკვიდრეობის შესწავლასა და სათანადოდ გამოცემაში. კერძოდ, მის სახელს უკავშირდება აკადემიური გამოცემები „ვეფხისტყაოსნისა“ (1913, 1927), „თამარიანისა“ (1937), „აბდულმესიანისა“ (1917, 1937), „ამირანდარეჯანიანისა“ (1939). ხოლო რუსთაველის დიდი, საერთაშორისო მასშტაბის იუბილესათვის, 1966 წელს გამოვიდა მისი სოლიდური ნაშრომი: „შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი: პოემის ანალიზი და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი“ (თბ. „განათლება“, 344 გვ.). შეიძლება ითქვას, ეს არის ერთ-ერთი იმ ფართო კომპლექსურ კვლევათაგან, რომელიც მეცნიერული განსჯის თვალსაწიერში აქცევს არსებითად ყველა საკითხს, დაკავშირებულს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორობის პრობლემასთან, ავტორის ვინაობა-წარმომავლობასთან, პოემის ტექსტის ისტორიასა და შედგენილობასთან, რუსთაველის ეპოქის იმ ისტორიულ რეალიებთან, რომელთაც გავლენა უნდა მოეხდინათ ავტორის შემოქმედებითა თუ პიროვნულ ბიოგრაფიაზე და სხვ. განსაკუთრებით ხელშესახებია ის ძალისხმევა, რომელიც მეცნიერმა გასწია შოთა რუსთაველის წარმომავლობისა და გენეალო-გიური სურათის სავარაუდო ვერსიის რეკონსტრუქციისათვის.

ს. კაკაბაძემ კრიტიკულ ანალიზს დაუქვემდებარა იმ დროისათვის არსებული არსებითად ყველა ისტორიული წყარო და ყველა ანგარიშგასაწევი რუსთველო-ლოგიური გამოკვლევა, გამოწვლილვით და პირუთენელად განიხილა ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ავტორთა, მაგ., პავლე ინგოროყვას, მოსაზრებანი გენიალური ქმნილებისა და მისი ავტორის შესახებ. თვით ისიც კი არ დაუტოვებია უყურადღებოდ, რომ, მაგალითად, გ. იმედაშვილს თავის ბიბლიოგრაფიულ წიგნში „რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712-1956 წლები“ (თბ. 1957) თურმე ტენდენციურად დაუტოვებია უყურადღებოდ ზოგიერთი ავტორის ზოგი მნიშვნელოვანი დებულება („თვით ანოტაციები მთელს წიგნში საერთოდ და მეტ წილად მოცემულია არაზუსტად და არასწორად“. კაკაბაძე 1966:32). ამავე დროს, უცხო არ არის არც თვითკრიტიკული შეფასების შემთხვევები: „მე მომივიდა შეცდომა 1646 წლის ამ ხელნაწერში მოთავსებული შოთას პორტრეტის მინაწერის წაკითხვაში, რომელიც მოცემული იყო ვეფხისტყაოსნის ჩემს 1927

წლის გამოცემაში (ეს ხელნაწერი 1921-1945 წლებში საზღვარგარეთ იყო გატანილი, სახელდობრ, იქ დაბეჭდილია: (აქა) აშოთან (უნდა — აშორთან) რუსთაველი ამ წიგნსა სწერს“ (კაკაბაძე 1966:98).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ, ისტორიული წყაროების კვლევასთან ერთად, ს. კაკაბაძემ მნიშვნელოვანი შრომა გასწია „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქასთან დაკავშირებული ხალხური გადმოცემებისა და სხვა ფოლკლორული წყაროების შეგროვებისა და შესწავლის მიმართულებით. შეიძლება ითქვას, ძნელად ვიპოვით ავტორს, რომელსაც შეიძლება ასე ერთიან სამეცნიერო თვალსაწიერში მოექცია ესოდენ არაერთგვაროვანი და არცთუ ექვშეუვალი ხალხური შემოქმედებითი ვერსიები შორეული სახელოვანი ისტორიისა. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა სახით და რა დატვირთვით მოიხმობს მეცნიერი ამ გადმოცემებს, მოვიხმობთ რამდენიმე ფრაგმენტს მისი ამ რიგის დაკვირვებებიდან: „როგორც 1923 წ. ზაფხულში სამცხეში მოგზაურობის დროს დავრწმუნდი, ხალხის ხსოვნას აქამდის გარკვეულად აქვს შენარჩუნებული რუსთაველის ცხოვრების ფაქტების ლოკალიზაციის შესახებ ცალკე მომენტები. სოფელ რუსთავიდან აღმოსავლეთით 2 კმ-ზე, ეხლა დაუსახლებელ ადგილას, პატარა ბორცვზე არის კოშკის ნანგრევები, რომელ კოშკს ხალხის ხსოვნა შოთას კუთვნილებად აღიარებს (საროელი გლეხის ვას. გიორგაძის ნაამბობი)... აქვე ვურთავ მაშინ ჩაწერილ შემდეგს გადმოცემას:

„შოთას დედა ადრე დაქვრივდა. ერთ დღეს რუსთავზე თავისი თანმხლები კაცებით გაიარა ტრაპიზონიდან მომავალმა მშენებელმა, რომელიც ეკლესიის თუ ეკლესიების ასაშენებლად იყო მოწვეული საქართველოში. ის გაჩერდა წყალის დასაღვად და შესანაყრებლად შოთას დედის ეზოსთან, სადაც მას გაუმასპინძლ-დნენ კიდეც. მშენებელს ძალზე მოეწონა შოთას დედა და როდესაც თავისი საქმის დასრულების შემდეგ ის უკან ბრუნდებოდა, სპეციალურად გაჩერდა რუსთავში და აქ გაიცნო შოთას დედის ოჯახი, შეირთო ცოლად ეს ქალი და თან წაიყვანა ის ტრაპიზონს მისი შვილებითურთ“ (შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან. - „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, 1, გვ. 46-47; კაკაბაძე 1966:34). სხვა ჩანაწერით:

„...გლეხის გიორგაძის სიტყვით, შოთა იყო უბრალო ოჯახის შვილი, ობლად დარჩენილი დედისერთა. ის გაზარდა მისმა ბიძამ, ბერების მოძღვარმა... შოთას ჰყავდა საცოლე. ორივეს დიდად უყვარდათ ერთმანეთი და ფიციც ჰქონდათ დადებული — მოღალატე მეორისაგან მოკვდესო. საცოლე იყო ორმოცი-ცხის პატრონის სახლის შვილი... მაგრამ თამარ მეფემ მოუნახა შოთას სხვა საცოლე, რომელიც, მისი აზრით, დიდ პოეტს უფრო შეეფერებოდა, სახელდობრ აჭარის მთავრის ქალი, რომელზეც შოთა დაინიშნა კიდეც. ერთხელ, როდესაც შოთა ბრუნდებოდა თმოგვიდან რუსთავისკენ, ორმოცი-ცხესთან მას გზად დახვდა ყაჩაღად გადაცმული ყოფილი მისი საცოლე და თავს დაესხა. შოთამ ყაჩაღი მოკლა. სიკვდილის წინ ყაჩაღად გადაცმულმა უთხრა შოთას — გული გამიხსენი და გაიგებ ვინცა ვარო. ღრმად დამწუხრებული შოთა ბრუნდება თავის სახლში. მალე ამის შემდეგ შოთამ წაასწრო თავის ცოლს არაბთან, რომელიც შოთას მონა იყო და მას თავისთან სახლში ჰყავდა. ზნეობრივად მოკლული შოთა ამის შემდეგ გადავარდება თავისი სამშობლოდან და მიდის იერუსალიმს“ („საისტორიო მოამბე“, 1, 1924; კაკაბაძე 1966:35).

შოთას წარმომავლობის შესახებ საკვანძო ცნობებს იმოწმებს ს. მაკალათია სოფ. როკეთში: „შოთას მამას ყოლია ერთი ვაჟი. შემდეგ მას გასჩენია მეორე ვაჟიც იმ დროს, როდესაც პატარაშენში (რუსთავის პირდაპირ მტკვრის მეორე ნაპირას) ქორწილში

იმყოფებოდა. აქ ჩახრახელისთვის (შოთას მამისთვის) მიუხარებიათ მეორე ვაჟის შეძენა, რომლისთვის მამას იქვე შოთა დაურქმევია.

შოთას მამა ჩახრახელი მალე მტრებს მოუკლავთ და მას დარჩენია ობლად ორი ვაჟი. ზიძას გაუწევია ზავშევებისთვის პატრონობა, რის შედეგად შოთას სწავლა მიუღია ჯერ რუსთავში და შემდეგ ჩორჩო-აგარაში. ჩორჩანიდან რამდენიმე კომლი გადასახლებულა აგარაში და აქედან ამ ახალ უბანს დარქმევია სახელად ჩორჩო-აგარაო... აქ სწავლის მიღების შემდეგ ზიძას ორივე ძმისწული გაუგზავნია სასწავლებლად ჯერ კახეთში (იგულისხმება იყალთო) და შემდეგ ბიზანტიაში. შემდეგ შოთა დაბრუნებულია სამშობლოში და აქ გამხდარა ხაზინადარი (იგულისხმება ალბათ მისი მეჭურჭლეთუხუცესად გახდომა). შოთას უფროსი ძმა კი წასულა არაბეთში, მიუღია მაჰმადიანური სარწმუნოება, გამხდარა აშული (მომღერალი), შეურთავს იქაური ქალი და იქ მოწყობილა...“ (ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თფ. 1938, გვ. 40-42). მოკლედ, ამ გადმოცემაში შემდეგ მოთხრობილია შოთას სასიყვარულო ისტორიის ზემომოთხრობილის მსგავსი ვერსია, ხოლო ცოლის ღალატის ამბავი შოთას ძმის თავგადასავალს მიეწერება.

ამ გადმოცემათა მიხედვით ს. კაკაბაძე განაზოგადებს ანალოგიურ ხალხურ მონაცემებს: წარმომავლობა სამცხის სოფ. რუსთავიდან; რუსთავის კავშირი მტკვრის შენაკად წყაროსთან (რუსთან); შოთას პაპა ყოფილა მღვდელი; შოთას მამა ჩახრახელად იხსენიება, რაც ადგილის სახელ ჩახრახს უკავშირდება. ადრე დაობლებულან. მამის სიკვდილის შემდეგ მისი ქონება გაუყვია ორ ძმას: შოთას რუსთავი შეხვედრია, ხოლო ძმას — ჩახრახი. შემდეგ სწავლისა და ცხოვრების ამბები...

სწორედ ამ წყაროების საფუძველზე სარგის კაკაბაძემ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა-წარმომავლობა მოაქცია ისტორიული გეოგრაფიის, ფოლკლორ-რისა და წერილობით მონაცემთა გარკვეულ ლოკალურ ჩარჩოში და ამ „ლოკალი-ზაციის“ საწყისად აიღო სამცხეს ისტორიული სოფლის სახელი „**ჩახრახი**“, რაც ლოგიკურად დაუკავშირდა ადგილობრივ გადმოცემებში დადასტურებულ შოთას მამის სახელს - „**ჩახრახა/ჩახრახელს**“ და, რაც მთავარია, რუსთაველის ეპოქის ცნობილ მეხოტბეს - **ჩახრუხაძეს**.

ზოგიერთი მეცნიერისაგან (ნ. მარი და სხვ.) განსხვავებით, ს. კაკაბაძე არ უშვებს ამ ორი ავტორის - შოთასა და ჩახრუხაძის - იდენტობას, მაგრამ მათ ერთი საგვარეულო სახლის წარმომადგენლებად (ზიძაშვილებად) მიიჩნევს. მისეული განზოგადებით:

- შოთა წარმოშობით არის სამცხის მიმდგომი ხევიდან ანუ ხეობიდან, მამასადამე, მოხვევ, ხოლო გვაროვნული შტოს წოდებულობით მესხი ჩახრუხასძე.
- შოთას მამას აგრეთვე სამფლობელოდ ჰქონია ჩახრახი მთა-სამოვარით. შოთამ კი ახალგაზრდობაშივე მიიღო შუა და პატარა რუსთავი წოდებულებით რუსთველი.
- რადგან ჩახრუხასძე თამარიანში გლოვობს თამარ მეფეზე გამიჯნურებული თავისი ძმის კარგი მოყმისა და „იგავთ დამწესის“, ე.ი. იგავებით მოთხრობათა დამწესის, უცხო ქვეყანაში დაღუპვას, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩახრუხაძის ეს ძმა უნდა იყოს ვეფხისტყაოსნის პროტოტიპის იმ პროზაული ამბის დამწერი, რომელშიც თამარის ქება მოცემული იყო იგავთხრობით, ე.ი. სხვისი სახელქვეშ შეფარვით (თინათინი - თამარი). ამით შოთა გამოდის პოეტ ჩახრუხაძის და მისი ძმის „იგავთ-დამწესის“ ახლო ნათესავი.
- შოთა მამით ობოლი ყოფილა. მისი დედა გათხოვილა თრაპიზონელ მშენებელზე. ის უნდა ყოფილიყო ლაზი და აქედან გამოდის, რომ შოთას დედა მეგრელი უნდა ყოფილიყო. გადმოცემით, შოთაც თან წაუყვანია.

- შოთას კარგი განათლება მიუღია, მან იცოდა ბერძნული, არაბული და სპარსული, სალაპარაკო თურქულიც.
- შოთა გადმოცემით 22-23 წლის ჩამოსულა საქართველოში, ალბათ 1184 წლის ბოლოს, ან, უფრო, 1188 წელს. იგი გამიჯნურებულია თამარ მეფეზე. ამ გამიჯნურებას მოჰყოლია პოემის წერის დაწყება.
- ამდენად, შოთა დაბადებულია 1165-66 წლებში.
- წოდებულება რუსთველი შოთას უნდა მიეღო ახალგაზრდობაში, ალბათ პოემის წერის დაწყებამდე (უფრო 1188 წელს). ეს წოდება გაჩნდა მაშინ, როდესაც შოთას მისცეს შუა რუსთავი პატარა რუსთავითურთ მიმდგომ არესთან ერთად.
- შოთასთვის ამბის ლექსად თქმა უბრძანებია მას, ვინც იყო „გმირთა რაზმთა მწყობელი“ („როსტომიანის“ მინაწერი), ანუ ზაქარია მხარგრძელი. სამაგიეროდ, პოეტისთვის მასვე „აუშენებია“ რუსთავი.
- 1192 წელს შოთა უკვე იმდენად ცნობილი პირია, რომ მას აგზავნიან ელჩად სულთან სალადინთან - იერუსალიმის სიწმინდეთა საკითხის მოსაგვარებლად. ერთ ბერძნულ კრებულზე მითითებით, თითქოს 1192 წელს იერუსალიმში ჩასულა რუსთაველი, რომელსაც თამარ მეფისგან დავალებული ჰქონდა აღედგინა დაზიანებული ჯვრის მონასტერი.
- იერუსალიმში წასვლამდე შოთას პოემის ნაწილი უკვე დაწერილი ექნებოდა.
- შოთა 1212 წლიდან უკვე ვაზირი მეჭურჭლეთუხუცესია და ეს წოდება უნდა მიეღო მას ლაშა-გიორგისაგან.
- შოთა იერუსალიმში უნდა ჩასულიყო 1222 ან 1223 წელს, როცა იგი 56-57 წლისა იქნებოდა. მაშინ უნდა იყოს შესრულებული მისი პორტრეტი ჯვრის მონასტერში. იქვე მის მიერ უნდა დაწერილიყო თამარ მეფის ე.წ. მეორე მატთანე. მალე აქვე უნდა აღსრულებულიყო და დაკრძალულიყო პოეტი.
- ვეფხისტყაოსანი დაწერილი უნდა იყოს 1188-1200 წლებში.

აღნიშნული მონოგრაფიის დამატებულ თავში - „ვარაუდი შოთა რუსთაველის წარმომავლობაზე“ - მეცნიერი კიდევ უფრო აზუსტებს შოთა რუსთაველის წარმომავლობის ვარაუდებს. კერძოდ, იგი ასკვნის („პირობითი დასკვნა ასეთიაო“), რომ პოეტის გენეალოგია მიდის გაბელისძეთა საგვარეულო სახელთან:

„ფალავანდიშვილები და ქართლელი თავადი ამირეჯიბები ერთი გვარიდან მოდიოდნენ. ხოლო ქართლის ამირეჯიბის შესახებ დოკუმენტურად ცნობილია, რომ გვარით ისინი იყვნენ გაბელისძენი. აქედან ფალავანდიშვილებიც გვარით გაბე-ლისძეებად გამოდიან; გაბელისძე ყოფილა გვარით შოთა რუსთაველიც. გაბელისძეების ცალკე შტოს დამწყები თითქოს იყო ჩახრუხა. მის შვილიშვილთ თითქოს ერქვა ჩახრუხა და მიხრიკი. ჩახრუხასგან თითქოს არის გრიგოლ ჩახრუხასძე, ხოლო მიხრიკისგან, რომელმაც სამფლობელოდ ჩახრახი მიიღო, უნდა იყოს შოთას მამად საგულისხმებელი ელია. ეს ელია ჩახრახელად იწოდებოდა.

თითქოს პირველი ჩახრუხა დაბინავდა რუსთავში, სადაც ეგრეთწოდებულ გაღმა რუსთავში ძველი ფერის-ციხის არეში საფუძველი ჩაეყარა ახალ უბანს, სახე-ლით ჩახრუხაანთ-უბანს. ამ უბანში მცხოვრებ ელია ჩახრახელის ოჯახში გაჩნდა დიდი შოთა“ (კაკაბაძე 1966:271).

„ვარაუდი იმის შესახებ, რომ შოთას მამა უნდა ყოფილიყო ელია მიხრიკის ძე, დასტურდება შემდეგნაირად: სახელი მიხრიკი წარმოებულია სიტყვისაგან მეხრიკე, რაც

უდრის სპარსულ ტერმინს ფეჰლევან, ფალავან, ფალავანდ-ს. რომ შოთას უფროს ძმას პაპის მიხრიკის სახელი ერქვა, ეს დასტურდება იმით, რომ სწორედ თამარის დროს დასაწყისი მიეცა სამცხიდან შიდა ქართლში გადასვლით თავად ფალავანდიშვილების გვარს (მე-18 ს-ში ჩაწერილი ცნობა). ხოლო ძველს საფალავანდიშვილოში ახლაც არის სოფელი რუსთავი, არის ამ რუსთავის მთაც. სახელი რუსთავი აქ ხელოვნურად გადმოტანილია (არავითარი არხი ან რუ ზედაპირის კონფიგურაციის მიხედვით იქ არ შეიძლება ყოფილიყო). ამით მტკიცდება შემდეგი:

1. ქართლის თავად ფალავანდიშვილთა გვარის დამწყები არის მესხი და სამცხიდან არის ქართლში გადასული;

2. საფალავანდიშვილოს დამწყები შოთა რუსთაველის ახლობელი იყო და მის პატივსაცემად შეიქმნა იქ ახალი რუსთავი; ეს მოხდა თამარ მეფის დროს, რადგანაც იქვე არსებობს სოფელი თამარაშენი“ და შმდგ. (კაკაბაძე 1966:274).

შემაჯამებელი მოკლე დასკვნა კი ამბობს:

„ამგვარად, შოთას წინაპარნი წარმოშობით იყვნენ ხევიდან (ხეობიდან), მაგრამ გადასულნი სამცხეში. თვითონ შოთა იყო, მაშასადამე, სამცხეში დამკვიდრებული მოხევის ოჯახიდან და ეკუთვნოდა გაბელისძეთა გვარის ჩახრუხაძეთა ცალკე შტოს“ (იქვე, 276).

სარგის კაკაბაძის წარმოდგენილი ჰიპოთეზა ყურადღებას უპირველესად სწორედ მასალობრივი და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მოითხოვს. მეცნიერის კვლევა ისტორიული და ზეპირსიტყვიერი წყაროების განსაკუთრებული მოცულობის მონაცემებს ეყრდნობა და შესაშური გულმოდგინებით არის ნაძებნი თითოეული მათგანის ადგილი მთელ ამ დოკუმენტურ სიჭრელეში. ჩვეულებისამებრ, ავტორი ავლენს ფაქტების ანალიზისა თუ მეცნიერული ინტუიციის შესაშურ უნარს (თუნდაც „მიხრიკის“ ეტიმოლოგია რად ღირს!). ამავე დროს, განსაკუთრებულ ეჭვს აჩენს ზეპირსიტყვიერი ვერსიების სანდოობა, ვინაიდან ამგვარი შემთხვევები ხშირად არა ფოლკლორულ მეხსიერებას, არამედ ემპირიული ფაქტების თავისუფალ რეინტერპრეტაციას უნდა ემყარებოდეს. ასევე ნაკლებ ნდობას იმსახურებს დასკვნები, რომლებიც ერთი ვარაუდის მეორე ვარაუდისაგან გამოყვანის შედეგად მიიღება.

ლიტერატურა:

გაიოზ იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712-1956 წლები, თბ. 1957.

პავლე ინგოროყვა, რუსთველიანა, თბ. 1926.

სარგის კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი: პოემის ანალიზი და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., „განათლება“, 1966.

სარგის კაკაბაძე, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან. - საბჭოთა ხელოვნება, თბ. 1961, #1.

სარგის კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო. - „საისტორიო მოამბე“, 1, 1924.

ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თფ. 1938.

Sargis Kakabadze's role to the research of Shota Rustaveli's poem "The Knight in the Panther's Skin"

Abstract

Sargis Kakabadze is one of the known science, who researched Shota Rustaveli's poem "The Knight in the Panther's Skin". He established the identity of the author of the poem.

Sargis Kakabadze made a special contribution to the study and proper publication of the scribe heritage of the Rustaveli era.

In particular he owns the academic publications of "The Knight in the Panther's Skin" (1913, 1927), "Tamariani" (1937), "Abdulmesiani" (1917, 1937), "Amirandarejanaiani" (1939).

And for Rustaveli's known international anniversary, his solid work was published in 1966: "Shota Rustaveli and his poem": analysis of the poem and some issues of Georgian History" (chap. Education).

It is especially noteworthy that, together with the research of historical sources, Sargis Kakabadze made a significant contribution to the collection and study of folk tales and other folklore sources related to the "The Knight in the Panther's Skin" era.

It is on the basis of these sources that Sargis Kakabadze brought the identity and origin of the author of the poem "The Knight in the Panther's Skin" into a certain local framework of historical geography, folklore and written data and took the name of the historical village of Meskheta "Chakhrakhi" as the starting point of this localization.

Which is logically connected with Rustaveli's father's name – "Chakhrakha/Chakhrakheli" confirmed in local stories and most importantly, Chakhrakhadze, the famous poet of the Rustaveli era.

Unlike some scientists (Niko Marri and others), Sargis Kakabadze does not allow the identity of these two authors – Shota Rustaveli and Chakhrakhadze – but considers them to be representatives of the same family house (cousins).

The concept of Sargis Kakabadze requires attention primarily from the material and methodological point of view.

Key words: Shota Rustaveli, "The Knight in the Panther's Skin", Sargis Kakabadze